



## საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

---

### გლაუკონიტი

გლაუკონიტი, სილიკატების კლასის მინერალი ჰიდროქარსების ჯგუფისა. ქიმ. შედგენილობა:  $(K, Na, Ca) (Fe^{3+}, Al, Fe^{2+}, Mg)_2 [Al_xSi_{4-x} O_{10}] (OH) \cdot nH_2O$ , სადაც  $x \leq 1$ ,  $n=1-2$ . გვხვდება წვრილკრისტალური, ზოგჯერ თირკმლისებური აგრეგატების სახით. სისაღე მინერალოგიური სკალით 2-3; სიმკვრივე 2200-2800 კგ /მ<sup>3</sup>. სხვადასხვა ელფერის მწვანეა. ძირითადად წარმოიქმნება ეგზოგენური პროცესების შედეგად, გვხვდება მადნეულ საბადოთა ჰიდროთერმული შეცვლის ზონებშიც. იყენებენ დანალექი ქანების K-AR მეთოდით დათარიღებისათვის, მრეწველობაში - მწვანე საღებავებისა და დეკორ. ცემენტის დასამზადებლად, მინის წარმოებაში, სასუქად, ხისტი წყლის დასარბილებლად.

საქართველოში გვხვდება საქართვე. ბელტის ცარცულ ნალექებში (ე. წ. გლაუკონიტიანი ქვიშაქვები).

**ვ. ჯავრიშვილი**

---